საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №484
31 დეკემბერი 2018 წ.

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

„355	0967	სსიპ „საპენსიო სააგენტო“
1454	5094	ააიპ „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება“

2. დანართ №3-ში ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – „8900“ – სსიპ „დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო“ -ს შემდეგ დაემატოს ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი შემდეგი კოდი:

„ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული საპენსიო აქტივი	9100“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**